Caritas Czech Republic

**პროექტის „ციფრული და კარიერის მართვის კომპეტენციების გაძლიერება საქართველოში, სომხეთსა და მოლდოვაში მცხოვრები მოწყვლადი ახალგაზრდებისთვის“**

**საბოლოო შეფასება**

**(Final study for the Project ‘’Upskilling digital competences and career management skills of disadvantaged youth in Georgia, Armenia and Moldova’’)**

**ტექნიკური დავალება**

| | |
|---|---|
| **შესამუშავებელი დოკუმენტი:** | პროექტის საბოლოო შეფასების დოკუმენტი |
| **პროექტის განმახორციელებელი მხარეები:** | |
| დამკვეთი: | ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი |
| დონორი: | ევროკავშირი |
| **სამუშაო პირობები:** | |
| შეფასების დაწყების თარიღი: | 25 დეკემბერი, 2024 |
| დასრულების თარიღი: | 12 თებერვალი, 2025 |
| შეფასების ადგილი: | საქართველო, სომხეთი, მოლდოვა |
| გადახდის პირობები: | ანაზღაურების გადახდა მოხდება ორ ეტაპად: მთლიანი ღირებულების 30% გადაიხდება ავანსის სახით, კონტრაქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. ხოლო დარჩენილი 70%-ის გადახდა მოხდება საბოლოო ანგარიშის მიწოდებისა და პროექტის მენეჯერის მიერ მისი ვერიფიკაციის შემდგომ 10 სამუშაო დღის განმავლობაში. |
| საბოლოო პროდუქტი: | პროექტის საბოლოო შედეგების დოკუმენტი |

---

**პროექტის განმახორციელებელი**

ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი არის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს განვითარების ხელშემწყობ პროექტებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ორგანიზაცია საქართველოში 2008 წლიდან მუშაობს, 2015 წლიდან კი თბილისში გაიხსნა ორგანიზაციის ადგილობრივი წარმომადგენლობა, რომელიც სხვადასხვა დონორთა ხელშეწყობით ახორციელებს პროექტებს ჯანდაცვის, სოციალური ზრუნვის, სოფლის

მეურნეობის განვითარებისა და გარემოს დაცვის მიმართულებით. ორგანიზაციის და პროექტების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ ეწვიოთ ვებ-გვერდებს: https://www.facebook.com/CCRGeorgia2015/ და https://georgia.charita.cz/

**პროექტის შესახებ:**

პროექტი „ციფრული და კარიერის მართვის კომპეტენციების გაძლიერება საქართველოში, სომხეთსა და მოლდოვაში მცხოვრები მოწყვლადი ახალგაზრდებისთვის“ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ინიციატივაა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში, სომხეთსა და მოლდოვაში მცხოვრები მოწყვლადი ახალგაზრდების, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და NEET[1] ახალგაზრდების დასაქმების და მეწარმეობის შესაძლებლობების გაუმჯობესებასა და დემოკრატიულ ცხოვრებაში მათი აქტიური ჩართულობის მხარდაჭერას. აღნიშნულის მისაღწევად პროექტმა განახორციელა შესაბამისი ღონისძიებები სამიზნე ახალგაზრდებში ციფრული და მეწარმეობის კომპეტენციების ზრდის და კარიერული კონსულტაციის სერვისების გაძლიერების მიმართულებით.

პროექტმა სამიზნე ქვეყნებში (საქართველო, სომხეთი, მოლდოვა) იმუშავა სამი ძირითადი მიმართულებით:

1. არსებული დასაქმების მხარდაჭერის სერვისების გაძლიერება ციფრული კარიერული კონსულტაციის კუთხით;

2. მოწყვლადი ახალგაზრდების, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კვალიფიკაციის ამაღლება, რათა მათ შეეძლოთ მუშაობის გაგრძელება ახალგაზრდების ციფრული კომპეტენციების გაზრდის მიმართულებით;

3. მოწყვლადი ახალგაზრდების დემოკრატიულ და სოციო-ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშეწყობა ცნობიერების ამაღლების გზით, მათ შორის ინფორმირებულობის ზრდა გაციფრულების, კიბერბულინგსა და დეზინფორმაციის რისკებზე.

პროექტის აქტივობებმა მოიცვა სამი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონი, კერძოდ: საქართველოში – აჭარის, იმერეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონები, სომხეთში – შირაქის, ლორისა და თავუშის რეგიონები, ხოლო მოლდოვაში – კიშინიოვის, კაჰულისა და უნგჰენის რეგიონები.

[1] დასაქმების, სწავლების და ტრენინგების მიღმა მყოფი ახალგაზრდები

**პროექტის სამიზნე ჯგუფი:**

- ახალგაზრდული და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ მოწყვლად ახალგაზრდებთან საქართველოში, სომხეთსა და მოლდოვაში;
- სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დასაქმებული კარიერული კონსულტანტები, დასაქმების კონსულტანტები, მხარდამჭერითი დასაქმების კონსულტანტები;
- რეგიონებში მცხოვრები მოწყვლადი ახალგაზრდები (შშმ და NEET).

**დაინტერესებული მხარეები:**

- სახელმწიფო დასაქმების სააგენტო (საქართველოში, მოლდოვასა და სომხეთში);
- აჭარის დასაქმების სააგენტო;
- არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც კარიერულ კონსულტაციას უწევენ მოწყვლად, შშმ და NEET ახალგაზრდებს.
- ბიზნესები, რომლებიც მზად არიან დაასაქმონ ციფრული კომპეტენციების მქონე ახალგაზრდები.

**მოწვევა კვლევის ჩატარების ინტერესის გამოხატვაზე:**

ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი იწვევს დაინტერესებულ კვალიფიციურ კომპანიებს ან/და ფიზიკურ პირებს **პროექტის საბოლოო შეფასების დოკუმენტის შესამუშავებლად.**

**მოსალოდნელი შედეგი**

საბოლოო შეფასების დოკუმენტი, რომელიც გაზომავს პროექტის ფარგლებში მიღწეულ შედეგს პროექტის დოკუმენტის, ლოგიკური ჩარჩოს და პროექტის ფარგლებში შემუშავებულ საბაზისო მონაცემებთან მიმართებით.

კონკრეტული აქცენტები უნდა გაკეთდეს:

- შესაბამისობაზე: პროექტის მიზნებისა და აქტივობების შესაბამისობა პროექტის სამიზნე ჯგუფების საჭიროებებთან და პროექტის ყოვლისმომცველ მიზნებთან;
- ეფექტურობაზე: დაგეგმილი შედეგების და მიზნების მიღწევა;
- ეფექტიანობაზე: რამდენად რაციონალურად იქნა გამოყენებული რესურსები;
- გავლენაზე: დემოკრატიულ ცხოვრებაში და შრომის ბაზარზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და NEET ახალგაზრდების აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა;
- მდგრადობაზე: პროექტის შემდგომი სარგებლის გაგრძელების ალბათობა.

დოკუმენტის შემუშავება უნდა მოხდეს სათანადო კვალიფიკაციის მკვლევარების ჩართულობით. სომხეთისა და მოლდოვის ადგილობრივი კონტექსტის გასათვალისწინებლად, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იყოს ადგილობრივი ინტერვიუერის/მკვლევარის ჩართულობა (სომხეთი 1 მკვლევარი, მოლდოვა 1 მკვლევარი).

**მოთხოვნები განმცხადებლის მიმართ:**

- დაინტერესებულ ორგანიზაციას/პირს მოეთხოვება მონაცემების შეგროვების და დამუშავების, კვლევითი/შეფასებითი დოკუმენტების მომზადების სულ მცირე 5 წლიანი დადასტურებული გამოცდილება;
- ექსპერტული ცოდნა კვლევითი მეთოდების მიმართულებით;
- ზოგადი ცოდნა ციფრული ტრანსფორმაციის, ციფრული პროფესიების, კარიერული განვითარების და ახალგაზრდული საქმიანობის მიმართულებით;
- უპირატესობა მიენიჭება იმ განმცხადებლებს, რომელთაც აქვთ საბაზისო მონაცემების შეგროვების და დამუშავების გამოცდილება ახალგაზრდული საქმიანობის მიმართულებით;

უპირატესობა მიენიჭება იმ განმცხადებელს, რომელთაც აქვთ საბაზისო მონაცემების შეგროვების და დამუშავების გამოცდილება საქართველოს ფარგლებს გარეთ.

**დოკუმენტი უნდა პასუხობდეს შემდეგ კითხვებს:**

შესაბამისობის ნაწილში:

- რამდენად პასუხობს პროექტის მიზნები და აქტივობები სამიზნე ქვეყნებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და NEET [2] ახალგაზრდების საჭიროებებს?
- რამდენად აქტუალური იყო პროექტის ინტერვენციები გაჩენილი ციფრული შესაძლებლობებისა და გამოწვევების კონტექსტში?

ეფექტურობის ნაწილში:

- რამდენად მიაღწია პროექტმა დასახულ შედეგებს და მიზნებს პროექტის დოკუმენტის და ლოგიკური ჩარჩოს გათვალისწინებით?

---

[2] დასაქმების, სწავლების და ტრენინგების მიღმა მყოფი ახალგაზრდები

- რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი მიღებული შედეგების წარმატებას და რა იყო ხელისშემშლელი ფაქტორი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რამაც შეაფერხა დაგეგმილი პროგრესი?

ეფექტიანობის ნაწილში:

- დასახული შედეგების მისაღწევად რამდენად ოპტიმალურად იყო გამოყენებული რესურსები (ფინანსური, ადამიანური, ტექნიკური)?

გავლენის ნაწილში:

- რა გავლენა იქონია პროექტის შედეგებმა პროექტის სამიზნე ჯგუფის (შშმ პირების და NEET ახალგაზრდები) დემოკრატიულ ცხოვრებაში და შრომის ბაზარზე ჩართულობის კუთხით?

მდგრადობის ნაწილში:

- მდგრადობის უზრუნველსაყოფად რა მექანიზმების ან პარტნიორული ურთიერთობების შექმნას შეეწყო ხელი პროექტის შედეგებმა?

**მეთოდოლოგია:**

დოკუმენტი თანაბრად უნდა მოიცავდეს შესაბამის ინფორმაციას სამივე ქვეყანაზე (საქართველო, მოლდოვა, სომხეთი) და ეფუძნებოდეს:

- სამაგიდო კვლევას (პროექტის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტები, საბაზისო და შუალედური ანგარიშები და სხვა პროექტის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტაცია);
- ხარისხობრივ მეთოდებს (ინტერვიუები და ფოკუს ჯგუფები სამიზნე ჯგუფებთან, დაინტერესებულ პირებთან და ბენეფიციარებთან);
- რაოდენობრივ მეთოდს (ინტერვენციამდელი მონაცემებისა და შემდგომი შედეგების ანალიზი, გამოკითხვები, მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემები და ა.შ.);
- შედარებითი ანალიზი (პროექტის შედეგების შედარება საბაზისო კვლევასთან და პროექტის დოკუმენტთან და ლოგიკური ჩარჩოს ინდიკატორებთან);
- შესაძლებელია საქართველოში, სომხეთსა და მოლდოვაში არსებულ პარტნიორ ორგანიზაციებთან დამატებითი კონსულტაცია კონკრეტული ინფორმაციის დაზუსტების მიზნით.

*შენიშვნა: დოკუმენტის გეგმა უნდა შეიქმნას სამუშაოს საწყის ეტაპზე, დამკვეთთან შეთანხმებით.*

Caritas Czech Republic

სავარაუდო განრიგი: 25 დეკემბერი, 2024 – 12 თებერვალი, 2025

| ამოცანები/კვირა | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გუნდის პირველი შეხვედრა | X | | | | | | |
| დოკუმენტის მონახაზის/გეგმის შედგენა | X | | | | | | |
| დოკუმენტის მონახაზის/ გეგმის შეთანხმება ხელშემკვრელ მხარეებთან | | X | | | | | |
| მონაცემთა შეგროვება | | | X | X | | | |
| მონაცემთა დამუშავება და ანალიზი | | | | X | X | | |
| პირველადი დოკუმენტის სამუშაო ვერსია | | | | | X | | |
| საბოლოო დოკუმენტის სამუშაო ვერსია | | | | | | X | X |

**პროდუქტი:**

- საბოლოო დოკუმენტი (ქართულ-ინგლისურ ენებზე) წარმოდგენილი უნდა იყოს წინასწარ შეთანხმებული დოკუმენტის სტრუქტურის მიხედვით;
- დოკუმენტზე მომუშავე ორგანიზაციას/პირს მოეთხოვება დაინტერესებული მხარეებისთვის კვლევის შესახებ პრეზენტაციის წარდგენა.

**ეთიკა:**

**პროფესიული ქცევის წესები და ეთიკა:**

- კეთილსინდისიერება: დოკუმენტზე მომუშავე ორგანიზაციამ/პირმა უნდა უზრუნველყოს დამოუკიდებელი, ზეგავლენისაგან თავისუფალი, მიუკერძოებელი, დაბალანსებული მოსაზრებები და რეკომენდაციები;
- ობიექტურობა: ორგანიზაციამ/პირმა სამართლიანად უნდა გაითვალისწინოს შეფასების პროცესში პროექტის ღირებულება, ამოცანები, შეზღუდვები, შედეგები, გარე ფაქტორები და გააკეთოს მიღებული მონაცემების სწორი, მიუკერძოებელი ინტერპრეტაცია;

- ინტერესთა კონფლიქტი: დოკუმენტზე მომუშავე ორგანიზაცია/პირი ვალდებულია, განაცხადოს ნებისმიერი სახის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს დამკვეთ ან პარტნიორ ორგანიზაციასთან ფინანსური თუ სხვა სახის კავშირიდან. ასეთი სახის გარემოებები და კავშირი ავტომატურად არ გამორიცხავს დაინტერესებული მხარის მონაწილეობას განაცხადის შემოტანის/ტენდერში მონაწილეობის და დაკონტრაქტების პროცესში. ასეთი სახის ინფორმაციის არასრულად მოწოდებამ/გაცხადებამ შეიძლება გამოიწვიოს განმცხადებლის დისკვალიფიკაცია ტენდერიდან და შემდგომ ჩეხეთის კარიტასის მხრიდან კონტრაქტის შეწყვეტა (შესაბამისი დეკლარაცია გადაეგზავნება შერჩეულ კანდიდატს ხელშეკრულებასთან ერთად, რომელიც უნდა წარმოადგინოს ხელმოწერილი);
- კონფიდენციალობა: დოკუმენტზე მომუშავე ორგანიზაციამ/პირმა უნდა დაიცვას პროფესიული საიდუმლო და დამკვეთის მიერ პროექტის ფარგლებში გაზიარებული ინფორმაციის კონფიდენციალობა და გააზიაროს ეს ინფორმაცია მხოლოდ შეფასების მიზნებისათვის დამკვეთთან შეთანხმებით;
- ბენეფიციარებთან ურთიერთობა: დოკუმენტზე მომუშავე ორგანიზაციამ/პირმა პატივი უნდა სცეს პროექტის ბენეფიციარებს;
- ანგარიშვალდებულება: დოკუმენტზე მომუშავე ორგანიზაცია/პირი ანგარიშვალდებულია უშუალოდ ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის პროექტის მენეჯერის წინაშე. ის ვალდებულია, შეასრულოს ხელშეკრულების ამოცანები დროულად და ხარისხიანად. სამუშაო გეგმაში და ვადებში მნიშნელოვანი ცვლილებები წინასწარ შეათანხმოს დამკვეთთან.